

652 /
1983 /

ISSN 0134 3459

203-21901-3

Чтение

1983





ଫୁଲମୂଳ

ଅଗନ୍ତୁରାତ୍ରିରୁଲ୍-ମହାତ୍ମିରୁଲ୍ଲିଙ୍କ ଏବଂ
ଶାଖଗାଘନିଧରିତ୍-କଗଲିତିକଣର
ଶୁରନାଲ୍ଲିଙ୍କ

ଶାଶ୍ଵତରତ୍ନପଦ୍ମନାଭ ମହାରାଜାଙ୍କ
ଏବଂ ଆମାରିଙ୍କ ଧାର୍ଯ୍ୟଗତିରେଣୁ
ମହାମହିମା

୧୯୮୩ ଓ ୧୯୮୪ ମେସାହିତୀ ୨୫-୩ ପାତ୍ର

୨

୧୯୮୩

ମାନତା
ଅନୁଭବ

ଏହା ଶିଶ୍ୱାର୍ଥିଙ୍କରିଂ ଶିଳ୍ପୀ ପ୍ରକଟିକ, ଏକାରତ,
ଏହା ମିତରିକାଙ୍କା, ମ୍ରଦଗାଙ୍କା ଓ ବିଦେଶୀ...
ଏହାଙ୍କାର—ହିତାର୍ଥ ଧ୍ୟାନିକ ଓ ଅନ୍ତର୍ଦ୍ଦର୍ଶକ
ଏହାଙ୍କାର—ହିତାର୍ଥ ଧ୍ୟାନିକ ଓ ଅନ୍ତର୍ଦ୍ଦର୍ଶକ



୧୯୮୩

ଅଭିନନ୍ଦ ଶଶିରନ୍ଦ୍ର-ନାନ୍ଦେଶ୍ୱର ପାତ୍ର

რუსში ამ ჯინჯისამა	3 როგორც აპრილი (ლექსი)
გვერდითა გუთათელამა	5 მზანი ღლების სიკეთე (ნარკვევი)
ნაცა გვარიშვილი	11 ზოდა კოსმოდემიანსკაიას ძეგლი (ლექსი)
გარცე ჩხეიძე	12 მარადიული გაზაფხული (მოთხრობა)
ცისანა აცოამა	22 ლექსები
ანა ჩახვა	24 კონცერტი სელენიოვების ოჯახში (წიგნიდან „სამხრეთის ცის ქვეშ“)
ლალი თორთამა	27 ლექსები
ამირან გურგებიძე	31 პირველი აჭარელი მფრინავი ქალი
ავთიშვილ გუჯაბიძე	35 ლექსები
ივანა სერხეულიძე	36 სახელოვანი ქალები
ცისანა მალეა	37 ლექსები
ახრალოდ ერთი ლექსი (ჰაა მიქელაშვილის, ტატია- ნა გვევნავას, ნონა ვარაზაშვი- ლის, ქეთინო ვიორგაძის, ნინო საკანდელიძის, შუშუნა შაინიძის, თამარ კვაჭაძის ლექსები)	
ჯევალ ჯევალი	42 ივერია (მოთხრობა. გაგრძელება)
რამაზ სურმანიძე	54 ემრულა (კინომოთხრობა. გაგრძელება)
გარგარემ შეღი	64 მარადიული მოწმე (მოთხრობა. თარგმნა ოთარ ფარენშვილმა)
აშერ სომერიძი	
ნინო გოისლრაზიშვილი	72 სიტყვა ახალგაზრდებზე
ლეხა ბიბილებიშვილი	75 იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“
იჯორდა საასონია	80 ქართული ხალხური (აჭარული) კერძების შესწავლისათვის
გაესინა ეალდანი	84 კვლავ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის
ლევან ჩავჭარაძე	88 ბათუმის „დინამო“ ახალ სეზონში
	93 გასულ ორ თვეში.

გარეკანის 1-ლ გვერდზე — ბათუმი. სახლი კომახიძის ქუჩაზე.
ავთაცლილ ლომაპის ნახატი.

გარეკანის მე-2 გვერდზე — თოჯინები. ბათუმის თოჯინების თეატრის მთავა-
რი მხატვრის ნინო ნინო ნიშარაძის ნახატი.

ტექნიკური ხელმძღვანელი უშვანა დარჩია.

რუსულან ჯინჯიშვილი

როგორც აპრილი

დაბადებულა

ის ამ ქვეყნად როგორც აპრილი,
როგორც პლანეტის

სინათლისკენ შემობრუნება,
თავისუფლება —

მისი ხელით

მაღლა აწვდილი,
ქვეყნის გულისტქმას,
ვით სიცოცხლეს, ესალბუნება.

სიმართლისათვის

არის ქვეყნად ის მოვლენილი,
ყოველთვის, ყველგან

— მზეშიც,

ვარდშიც

ჩვენ ლენინს ვხედავთ,
ცისფერ

პლანეტას

დატრიალებს აზრი ლენინის,
ჩვენდა იმედად,

სიხარულად

და ჩვენდა ბედად.
რადგან ის გაჩნდა

ჩვენს მიწაზე როგორც აპრილი,
როგორც სიმღერის,

ხალხთა ნების

აგუგუნება...

და დგას ლენინი,

შუბლნათელი,

ვით მზე გაშლილი

და დედამიწას

აშ სხივებით ესაუბრება.



გვერდი ერთათ დასახვა

მზიანი დღეების სიკეთი

ნ პ რ ძ ვ ე ბ ი

მრავალი შვილი მუშათა კლასის მრავლობაა, მრავალი შვილი ბევრი მიწის მუშაა, მრავალი ინჟინერი და აგრონომია, მრავალი მეცნიერი და შემოქმედია, მრავალი ჯარისკაცი და ვენერალია, მრავალი შვილი ჩვენი ხალხის ურდვევი კავშირის ძლიერებაა, მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა.

ე. შეპარლინაშვილი.

წვიმდა გაბტულად, კოკისპირულად, გეგონებოდათ, კოკიდან წყალს ასხაშენო. ულფეთმა საათს გახედა, ორი საათი იყო. სამის ნახევარზე გაკუთილები წთავიდებოდა და იქამდე რომ წვიმას არ გადაედო, ლადო შთდად დასველდებოდა წვიმაში. რომ თქვას კაცმა, აზიზად არ გაუზრდია შვილები ულფეთს. მაგრამ ნაბოლარა ლადოს წარმოლგენაზე ცაინც გული შეეკუშება დედას. წავალ სკოლაში, გაკუთილების დამთავრებამდე მივუსწრებ, საწვიძარსაც მივუტან და თან მასწავლებლებსაც გამოვკითხავ ამბავს, რა ქნა ამ კვირაში, ხომ არ ზარმაცობსო.

რაც ცართადია, მართადაა, ბეჭდინირი ქალია ულფეთი, შვილებმა გაუშაოთდა, ყველა ერთმანეთზე უკეთესი გაიზარდა, ყველა ბუშაობს, სწავლობს, თიხი წელიც და მეცამეტე ვაჟიშვილი – ლადოც დამთავრებს საშუალო სკოლას, იქამდე კი... იქამდე კვლავ ბევრი საზრუნავი აქვს დედას, თუცა საზრუნავი არც მერე გამოელევა, იცის გამოცდილებით ულფეთმა, ყველა თავის წილ ყურადღებას მოითხოვს, ყველას მისნენ აქვს თვალი მიძყრობილი, ყველა მის შველას მოელის... და ულფეთსაც ჰყოფსის თავისი გულის სითბო შვილიშვილებსაც რომ უწილადოს.

ლაბადა ზოისხა, კიბე სწრაფი ნაბიჯით ჩაიარა, მხნედ და ენერგიულად. უცნობს რომ შეეხედა, იქნებ არც კი დაეჯერებინა, რომ ეს სათხო.

მოკრძალებული ქალი 13 შვილის დედა იყო, თანაც თერთმეტი შვილი – გარემონტის შვილის ბებია!

სოფლის შარაგზაზე რომ გამოვიდა, მანქანა წაძოება. კოლმეურნეობის მანქანა იყო, თავმჯდომარემ ხელი დაუქნია, პობრძანდოთო. თავპატივი აღარ დაუწყია, წვიმდა და ციოდა, და ესეც რომ არა, ეჩქარებოდა ქალს.

— სად მიგეჩქარება ამ წვიმაში, ახლაც ვერ ისვენებ, ჩაი აღარ გაქვს საკრეფი და ციტრუსი, შემოინახე გაზაფხულისათვის ენერგიაო, — უთხრა თავმჯდომარემ.

— სკოლაში მივდივარ, ბიჭის უნდა მიგხედოო — უთხრა.

— სკოლაში შენი გოგო ჩასწავლებელია და მმას ვერ მიხედავხო? — გაუკვირდა თავმჯდომარეს.

— მიხედვით როგორ არ მიხედავს, მარა მე რომ გულს შევაჯერებ, ჩემს კონტროლს რომ იგრძნობს ბიჭი, მაინც სხვაა.

— რატენი წლისა ხარ ახლა ულფეთ?

— ფველა კოლმეურნის ანკეტა ზეპირად იცი და დავიჯერო ახლა, მაინც მაინც ჩემი არ იციო? — გაუკვირდა ქალს და უცბადვე მიუდარა:

— შენ, ჩემო შოთა, რაღაც სხვა გაინტერესებს გვინი, მითხარი ბარემ.

— რა და, 60 წელს რომ შეასრულებ, ვფიქრობ, იუბილე გადაგიხადოთ, მე კი არა, ჩვენი სოფლის ახალგაზრდების წინადადებაა, ამას წინათ მითხრეს, კაი საქმე იქნებაო.

— იუბილე? კარგი ერთი, არ ზიყვარს ეს იუბილები, რა გავაკეთე საამისო, ჩემი იუბილე მაშინაა, ოჯახში ჩემი ცამეტი შვილი თავისი ნატრავლით რომ შეიკრიბება, ისინი მყავდნენ კარგად და მეტი რა მინდა, არაფერს ვითხოვ, სახლიდან რომ გამოვდივარ, ჩემი ქალიშვილები ისეთ თვალს გამომაყოლებენ, ვფიქრობ, ალბათ არასოდეს დავბერდები, სანამ წაგათ ასე ვევვარები-მეთქი.

მანქანა სკოლის შესსვლელთას შეჩერდა.

— ჰო, ულფეთ, — დაადევნა თავმჯდომარემ, — კიდევ კარგი, რომ შემხვდი, სახლში ვაპირებდი კაცის გაშოგზავნას, რაიონიდან დარეკის, ულფეთი ჩამოვიდეს ზეგისათვის, გმირი დედების შეკრებააო.

კი მაგრამ, რაღა ბოლოს მითხარიო, — ვაიკვირვა ქალმა.

— რა ვიცი, არ დაავიწყდეს-მეთქი ამდენ საქმეში...

— ეს არაფერი მავიწყდება, ამხანაგო თავმჯდომარევ.

— ვიცი, ვიცი — ჩაეღიმა თავმჯდომარეს. ალბათ ის მოაგონდა, ამას წინათ საერთო კრებაზე ზოგიერთის ცოდვა რომ გაიხსენა ულფეთმა.

სკოლის დერეფანში რომ ფეხი შეაბიჯა, მორიგე მასწავლებელმა ღია დილითა და სიყვარულით მიაშურა, ჩვენი ულფეთი მოსულაო, მოიკითხა და მერე სამასწავლებლოში შეუძლვა.

სამასწავლებლოში მორიგე მასწავლებლის გარდა არავინ იყო, ულფე-

თმა პორიდებით ითხოვა, მეშვიდე კლასის უურნალს თუ მაჩვენებთ, კარგი
იზაძო.

შასწავლებელია უურნალი წის დაუდო. შვილის გვარი და სახელი
მოძებნა და მის გასწვრივ გულისფანცქალით დაიწყო ნიშნების თვა-
ლიერება.

გარეთ კვლავ წვიმდა, მომეტებულად, გაბმულად.

* * *

ტრიბუნასთან ულფეთი დგას, ლაპარაკობს, დარბაზი გარშნდულა და
გაფაციცებით უსენებს. ფოტოკორესპონდენტები და ტელეპერატორებია
რომენტებს არჩევენ, ფირზე რომ აღბეჭდონ ცამეტი შვილის გმირი დედა
სამი ორდენის – ლენინის, წითელი ღროშისა და ოქტომბრის რეულუცი-
ის ორდენების კავალერი, რათ გარდა მრავალი მედალი და ნიშანი
უშვენებს მკერდს. ულფეთის შემხედვარე მართლაც ურწმუნო თომა უნ-
და იყო, რომ არ დაიჯერო, თუ პატიოსანი, ალალი შრომა როგორ ამაღ-
ლებს ადამიანს, როგორ აბედნიერებს მას, როგორ აშშვენიერებს.

ლელავს ულფეთი, სიტყვით პირველად როდი გამოდის, მაგრამ ამ და-
რბაზში ახლა უმეტესად გმირი დედები სხედან და ულფეთს ძალიან უნდა
შათაც უთხრას ის, რასაც თავად გრძნობს, განიცდის.

დაწერილი ფურცელი გვერდზე გადაღო და ისე დაიწყო:

— მიხარია რომ ჩვენს — ხელვაჩაურის რაიონში 1060 ტრავალშვი-
ლიანი დედა და 420 გმირი დედაა. ეს იმას ნიშანავს, რომ ჩვენი შამული მე-
ტად აღორძინდება, უფრო უკეთესი მომავალი გვექნება. მოსათხრობი ბუ-
ვრი მაქვს, ძვირფასო ქალები, ასე გვონია, ამისათვის დღეებიც არ მეყო-
ფა, მაგრამ თქვენ ხომ ყველაზე მეტად გამიგებთ, იცით, რა ძნელია შვი-
ლების გაზრდა, მათი გზაზე დაყენება. შადლობა ღმერთს, სირცხვილი არ
მიჰამია, ყველა გზაზე დავაყენე. უფროსი ქალიშვილი ეთერი მედიცინის
შუშაკია, რეზო — ტრაქტორისტია, უუურნა მოლარე-მოანგარიშე, ზურაბი
კოლე-უურნეობაში მუშაობს, თამარი „აჭარსახკომსოფლტექნიკის“ ოპერა-
ტორია, ციალა და ნარგიზი მშობლიური სოფლის სკოლაში მუშაობენ,
პედაგოგები არიან, მერი ტაშკენტში სწავლობს რუსული ენისა და ლიტე-
რატურის ფაკულტეტზე, სერგომ ინდუსტრიული ტექნიკუმი დაამთავრა და
მუშაობს, ნანული და იზოლდა საგაჭრო ტექნიკუმში სწავლობენ, ბიძინა
სამხატვრო სკოლაში სწავლობს, ლადო კი მეშვიდეკლასელია. უფროსმა
ვაჟიაშვილმა და ქალიშვილებმა ოჯახები შექმნეს, შეძლებულად და კარგად
ცხოვრობენ. ჯერჯერობით თერთმეტი შვილიშვილი მყავს, ვიცი მათი
რიცხვი წლების მანძილზე ათმავად გაიზრდება და ეს სიხარულით მავსებს.

ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, არც გაჭირვება და სიძნელე დამკლე-
ბია და სიხარულიცა და ბედნიერებაც ბლომად მქონდა. ახლა თვალს რომ

გავლებ ჩემს ცხოვრებას, ვრწმუნდები, ბევრი შვილი ნამდვილად დიდი ბე-
ღნიერებაა, გართალია, მათი დაზრდა მნელი იყო, მაგრამ ახლა, როცა დამრთე-
ბარდნენ და გაწეულ ამაგსა და შრომას მიფასებენ, ამ სიხარულს, რა შეე-
დრება! თვითონვე მიკვირს, როგორ შევძლი, როგორ გავართვი თავა-მეთ-
ქი. ერთი კი, ყველას შრომის სიყვარულით ვზრდიდი, თვითონ რომ
შთელი გულით ვშრომობდი, ხელავდნენ და თავადაც მეხმარებოდნენ. ჩე-
მი თითოეული ჯილდო, ზიღწევა ახარებდათ, ზემობდნენ ასეთ დღეებში,
ეამაყებოდათ. ყოველწლიურად 4-5-7 ტონა ჩაის ვკრეფდით, 30-40 კი-
ლოგრამ აბრეშუმის პარკს ვაბარებდი, ციტრუსსაც ვკრეფდი, და რა ვა-
ცი, თუ რამე საქმე იყო კოლმეურნეობაში, უარი არასოდეს გთქვამს.
აქეთ კიდევ ოჯახი, საქონლის, ფრინველის, ბოსტნის, ციტრუსის ბაღის
მოვლა... მარტო მე ვაკეთებდი ვევლაფერს-მეთქი, რომ ვთქვა, არ იქნება
სართალი. ჩემი მეუღლე — ტუხამედი ისე წარმართავდა და უბლვებოდა
ოჯახს, რომ მის გვერდით შვილებისა და ოჯახის მოვლა არ გამჭირვებია.

დიახ, მეამყება, რომ ჩემი თითო შვილი, თითო კეთილ ხნულს
ააინც გაავლებს თავის მამულში, შრომისა და სამშობლოს სიყვარულით
აღვზარდე ისინი, ასე ტჯერა და სწორედ ამიტომ ვგრძნობ თავს ბედ-
ნიერად.

ულუეთს დიდხანს უკრავდნენ ტაშს, ყვავილებიც ბევრი მიართვეს
და ბევრი თბილი, ტყბილი სიტყვა უთხრეს. იჯდა პრეზიდიუმში, აღელ-
ვებული, სახევანათებული, უხაროდა ვევლაფერი ეს, მაგრამ გული მაინც
სახლისაკენ მიუწევდა. მუდამ ასეა, როცა სახლს მოშორდება, რაღაც
უხილავი სევდა იძყრობს, შვილების ნახვას ესწრაფვის, ერთი სული
აქვს, თავის ნაბოლარებს როდის შეავლებს თვალს.

* * *

ამ ბოლო დროს სიზმრები შეტოქჩია. არა, ლამაზ სიზმრებს კი ხე-
ზავს, მაგრამ მაინც წუხს. მერის ხედავს სიზმარში, თავზე ყვავილების
გვირგვინი დაუდგამს და ხელს უქნევს, მოდი, აქეთ, ტოდი, დედიკო, ნა-
ხე რამდენი ყვავილებიაო... ველზე ღილილობი ღაღანებს, მერი კი მირ-
ბის, მირბის და იცინის.

ნეტავ რას ნიშნავს ეს სიზმარი? მერი მოენატრა, ალბათ, გთელი
შემოღომა გავიდა, ზამთარიც იწურება, რა ხანია მერი არ უნახავს. ტაშ-
პენტიდან ჩამოსვლა ძნელია, არც წასვლაა ადვილი, არდადეგებამდე კი
ბევრი აღარ დარჩა, ზართრის სესიები ნეტავ როგორ ჩააბარა? ჩომ არ
შეუყვარდა ვინგე, რას ნიშნავს ეს სიზმარი?

უთერია აღგა, ეზო მიაირ-მოიარა, ფრინველი დააპურა, ძროხები მო-
წველა, მერე დიდი ქოთნით რმე ცეცხლზე შედგა და სახაჭაპურე ცომის
დაგუშნდავებას შეუდგა.

საათის ისრები რვის ნახევარს აჩვენებს.

— სერგო, ნანული, იზოლდა, ბიძინა, ღადო, სად ხართ, მერია
სუფრასთან!

ჩქარობს ულფეთი, დღეს ადრე უნდა მოათავოს საოჯახო საქმეები,
რერვ სამუშაოზე უნდა წავიდეს, ჩაის გასხვლა დაიწყეს უკვე, პირველი
პრივატის მეორე რგოლი პირველობას ვერც წელს დაუთობს ვინმეს.

— ღადო, ჰე, ღადო! „ჩვენი ფოსტალიონის ხმაა“.

— იყავით ოქენე, მე წავალ.

ულფეთია ჭიშკარს მიაშურა.

— სამახარობლო შენზეა, აბა გაცოცანი!

— წერილია?

— ჰო, მერის წერილია.

— შენ გაიხარე შენს ოჯახში, მომკლა მაგ გოგოს დარღმა.

— რა გადარდებს შე ქალო, მასეთი ხალხი დღეს ქვეყანას უვლის და
შეხა გოგო თავს ვერ მოუვლის?

— რა ვიცი, წინასწარ ითქმება?

— ითქმება, ითქმება, ულფეთ, კვიცი გვარზე ხტისო, ხომ ვაგივო-
ნია, დარღი ნუ გაქვს.

კონვერტი ფრთხილად გახსნა... ჯერ ალაგ-ალაგ გადახედა, მერე
რომ დარწმუნდა, ყველაფერი რიგზეო, ყოველ წინადაღებას განსაკუ-
თრებული ყურადღებით კითხულობდა.

თვალებში შესციცინებდა, უთქმელად ხვდებოდა დედის ფიქრს. დედა,
ვაცი, ახლა შენ ალბათ ჩემშე დარღობო, იწერებოდა ცერი. ნუ გეშინაა,
ძალაან გარგად ვარო. აქ ჩვენთან საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლის-
თავთან დაგავშირებით სტუდენტებმა ცისფერი შუქი მოვაწყეთ, ნუ სიტ-
ყვა მომცეს და სულ შენზე ვიღაპარაკე, აჭარის 60 წლისთავის ხეიმზე
მიგენი შეხედრა მოვიგონე რესპუბლიკის ხელიძღვანელებთან.

ულფეთმა წერილი გვერდზე გადადო და ფიქრებს ჩაუღრმავდა.

შეხსიერებაში აღდგა ის დღე — გამორჩეული, გაბრწყინებული დღე-
შათუმაშის თეატრი ხალხით გაჭედილა, აჭარის 60 წლისთავის ზეიმია, ზან
ამშანავი ეღუარდ შევარდნაძე ესწრება. ულფეთი დარბაზში შემოუძლვა
თავის ცამეტ შვილს და პრეზიდიუმისაკენ გაემურა. აღელვებული იყო,
მაცრან სათქმელს მარც კი მოუყარა თავი, მაღლობა გადაუხადა პარტია-
სა და მთავრობას, ხალხს შრომის დიდი დაფასებისათვის. ვერა დედისა
და შშრომელის სახელით მაღლობა გადაიხადა ამ ნათელი დღეებისათვის.
ერთ დაღდა ყველაზე ამაღელვებელი და დაუკისწერი წუთები... ამხანავი
ეღუარდ შევარდნაძე თავს დაბლა უხრის გმირ დედას და მიხაკუბის დიდ
თავიცულს აწვდის, დარბაზში ტაში გრიალებს. მერე მთელი დარბაზი, მმ-

დენი ათასი კაცი ზეზე წამოდგა და ასე გიესალმა გმირ დედას. არა მას ულფეთი ვერ დაივიწყებს და ვერც უცრემლოდ მოიგონებს. ეს სიხარულის ცრიმლებია და კინ გაუმტყუნებს...

ქშოში ნაბოლარები ჩამოლაგდნენ. მერის წერილი ხომ არამო — იკითხეს. რომ გაიგეს, მერი მაღე ჩამოვაო, ჭაში შემოჰკრეს და სიფლის ორღობეს შეეფინენ; სკოლისაკენ ჰერი, ჰერიო, — ისმოდა ყველაზე უმცროსის წკრიალა ხმა.

ულფეთმა სუფრა აალაგა, მერე სამზარეულოში იოჯახა, მიაღავებოალაგა იქაურობა, ჩაის სასხლავი მაკრატელი აიღო და თვითონაც შარაგზას გაუყვა.

გზაზე რიდიოდა ქალი, ერთი შეხედვით, თითქმის ჩვეულებრივი, უბრალო, თავსაფრიანი, ასეთები ხომ ასობით შეგხედება ჩვენს საკოლმეურნეო კელ-მინდვრებზე. მათ ყველას ის ათინათი ადგას, ბედნიერ შრობასა და ცხოვრებას რომ ახლავს. ახლა კი ეს ათინათი ასმაგად აბრწყინებდა ჭარნალელ ულფეთ დუმბაძეს, გათბობდათ რისგან გადმონაშუქი სინათლე და გახარებდათ, მით უმეტეს, იმ დილით ბრდლვიალა მზე არ ენთოცაზე. სინოპტიკოსები გადმოსცემდნენ, — მნიშვნელოვან დათბებაო. უს-ენდა გზადმიმავალი ულფეთი ამ ცნობას და უხაროდა, სწამდა მზიანი დღეების სიკეთე.



ზოდა პოსოდემიანსაკაიას ძეგლი

ჩემი მშობლიური ქალაქის პარკში,
სადაც ერთდებიან მეგობრობის გზები,
სადაც აღმართულია ზოიას ძეგლი,
ფიცს დებენ პატარა გულების გზნებით.

უთვალავი ახალგაზრდის გული
მის უსაზღვრო სიყვარულს ჩემობს,
წმინდათა წმინდა მიწა —
სოფელი პედრიშჩევო...

აქ პატარა გოგოს დიდა გმირობაშ
შესძრა ნაზიმ ჰიქმეთის გული,
აქ მის ძეგლთან არასდროს ჭკნება
მინდვრის ყვავილის თაიგული.

აქედან წაღებული გმირთა მიწა —
როგორც თავდადებულთა მგზნებარება ერთად,
ფრანგებს უდევთ კოუნარების კედელთა —
მშვიდობიან ცის ელვარება ფერთა.

სადაც თავისუფლებისთვის თავს დებდნენ
და გუგუნებდა კომუნარების ფიცი,

რუსი გოგონას სამშობლოს მიწა
დიდების უქრობ ნაპერწკლით იწვის...

ჩერი მშობლიური ქალაქის პარკში,
სადაც ერთდებიან მეგობრობის გზები,

სადაც აღმართულია ზოიას ძეგლი —
ფიცს დებენ ჩლელვარე გულების გზნებით.
ქალაქს ანიჭებს სახელს ოა ლირსებას
ძეგლი პარტიზანი ქალიშვილის.

საბჭოთა პიონერების ოცნების თრთოლვაა,
ფაშიზმზე გარაჯვების დროშაა გაშლილი,
იგი სიმბოლოა სამშობლოს სიყვარულის,
საბჭოთა ქვეყნისათვის თავგანწირვის.

ირგვლივ მოსწავლეებს უფრიალებთ ყელსაჩვევი —
საბჭოთა აღისფერი დროშის ნაწილი...
აქ ფიცს დებენ პატარა გულების გზნებით,
აქ ერთდებიან მეგობრობის გზები.

გარენი ჩხეიძე

მარკოზი ტაგევსელი

„Corgito, ergo sum!“*

ვუშინდელი სუპერლინისმიერის შემდეგ, მასწავლებელთა დღეს რომ მიეძღვნა დევაზე „უსიყვარულოდ მზე არ სუფეს ცის კამარაზე“, ისე დავიქანცე, ისე გამოვიყენე, რომ საღამოს გაეკეთილების მომზადება ვეღარ შევძელი, მკვდარივით ჩამეძინა და მეორე დილით პირველ გაეკეთილზე დავიგვიანე კიდევ.

სამარიანოდ კრის ხანს ლაპარაკობდნენ, ჩვენი კოპტია ქალაქის 113-ე სკოლაში ჰოეზიის გრანდიოზული, ჯერარნახული ზეიძიმი გაიმართა, თბილისიდანაც კი გვეტრებოდა ორი ცნობილი პოეტი... მეორე განყოფილებამაც დამაკმაყოფილებელ ღონებები ჩაითარა.

ჩვენი სკოლა სულ რამდენიმე წელია, რაც არსებობს ინსტიტუტთან ახლოს. მართალა, სახურავი პირველსავე წელს ჩამოინგრა, მაგრამ ამჟამად საკმალე საიმედოდ გამოიყურება თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ნაგები ოთხსართულიანი, ქათქათა შენობა. ოღანდ ეს არის, ჯერჯერობით სწავლების კაბინეტურ სისტემაზე ვერ გადავედით და ყოველ წელს სჭირდება მიმდინარე რემონტი.

ჩემი მერვე „ბ“ კლასის ოთახი რატომდაც პირველ სართულზეა, რაც საშუალებას აძლევს ბიჭებს პირდაპირ ფანჯრიდან აღმოჩნდნენ ეზოში, ზოგჯერ გაკვეთილის პროცესშიც კი. ჯგუფში სულ ოცდაჩიდმეტი ბავშვი ვართ, საღაც ლიდერი, კველაზე უკიდურესი მემარჯვენე ექსტრემისტი, მე ვარ – ყველაზე ექსცენტრიული და ენაჭიკჭიკა. დაუნდობლად, უშედავათოდ ვიბრძვი ერთფეროვნებისა და მოწყენილობის წინააღმდეგ. ჩემი მეგობრები არიან: ედიკა, ზურა, კომა ანუ კომალევიშვილი, ავთო მოქერია, „ჯაგა“ და „ნუ პაგადი“. მათი ნამდვილი სახელი წესიერად არც კი ვიცი. ბიჭებთან, სხვათა შორის, უფრო ვაღულობ საერთო ენას. შემდეგ გოგოებიდან – ნანა გელაშვილი, ანუ ჩემი კიანქებანი ნანაჩია, ნინო ცაგარელი, ლელა ვარაზი და ნაზი ღლონტი, თუმცა მათი უმრავლესობა მხოლოდ და მხოლოდ ღუმილით გამოხატავს პროტესტს არსებული მდგომარეობის შესაცვლელად – ძირითადად, უსაშველოდ გაძერილი, მოძველებული პროგრამების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ, რაღა გასაკვირია, მთელი ის ღონისმიერა თუ პოეზიის საღამო თითქმის სულ მე რომ მიძგავდა, სცენარიც მე დავწერე მანანა სელმბლვანელთან ერთად, დეკლამატორიც მე ვიფავი, სიტყვაც მე წარმოუთქვი და გალაკტიონის

* ლათ. „ვაზროვნებ, მაშასაღამე ვარსებობ.“

ლექსებიც; კომკავშირის კომიტეტის მდივანი და სხვა თანატოლები შიგადაშიც. თუ ბევრიდება მხოლოდ სულის ითათქმებდა... არც ჰასწავლებელი დამხმარებელთა მიერთება არ არის საკმარის თანახმანი. ჩემს შეძლებ რა ეშველებათ, არ ვიცი, შეიძლებოდა უარიც კი მეთქვა წვრილმანი ტიზეზების, ჩემი საყოველთაოდ ცხობილი სიჯიუტის, პატივმოვფარუობის ან „ძოულელობის“ გაძი, მაგრამ მოთა მასწავლებელი დიდი სამაშულო ორის მონაწილეა, შეკრდს მთავრობის მრავალი ჯილდო უძვენებს; შერე რა ძასწავლებელი — ბევრები, ბავშვების ბოსიფარულე, ხათორიანი, უაღრესად ტაქტიანი გაპევთილის პროცესში; ყველას ვეივარს და პატივს ვცემთ, ფრიადოსხებიცა და ოროსნებიც, ნამდვილად სახიძეშოთ, როგორც მასწავლებელი. შესახედად, არ ვიცი, რამდენად ძაქენ ამისი უფლება, მაღალი, თამაშევრცხლილი, მხარებჭიანი კაცია, ოდნავ კეხიანი ცხვირი და მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები უშვენებს ნაიარევ სახეს, ოდონდ ესაა, რომ სიარული აქვს სასაცილო, — ზუსტად მეტრნანევრიან ნაიაჯებს აღვამს; ამჟამად რომოცდაცხრაშეტი წლისაა, პენსიამდე ერთი წელი დარჩა, როგორც მვითონ აიბოს, და ყველანი ხელს ვუწეობთ.

სასწავლო ხაწილი — ბერი დასწავლებელი კი, ვუიქრობ, მაინც ყველაზე საერთოდ ადათინა მთელს სკოლაში. სუსტაი, მოგრძო სახუ, ქერა, დანვეული თბა, კეთილი, შშობლიური ღიმილი აქვს და ბაჯბაჯა სიარული იცია. მწვავე ფერის კაბა-კოსტიუმის ჩატა უყვარს, თანაც სულ ბოლომდე აღილულის, ახალგედა ჯარისკაცივთ. სპეციალობით ძათემატიკოსია და გული იმის გაძი მწყდება, სწორებ, რომ ჩემს თაობას არ ასწავლის, თორებ, ვინ იცის, იქნებ აღვებრა და გეომეტრია შემყვარებოდა, თუმცა ერთმა დიდმა მათემატიკოსმა ხომ თქვა, შათემატიკის მეყვარება ყარშოულგეხელია, არც შე მიყვარდათ?! მერისთან ძალიან ახლოს ვარ, დედაშვილურად.

ჩვენება სასიქადულო პოეტმა ითხებ ნონეშვილმა მგრინი სწორედ მერი მასწავლებელს. მიუძღვნა თავისი ცხობილი ლექსი... — დიახ, ბერი მასწავლებელიც, სამწუხაორი, უშვილიძირიდ ბერდება, მაგრამ სამაგიეროდ, მთელს თავის ცოდნას, გამოცდილებასა და შშობლიურ ზრუნვას ჩვენ არ გვაკლებს. ოღონდ ესაა, ჩვენ ხანდახან მაინც უმაღურები ვართ.

ორგანიზატორი — ანუელა მასწავლებელი მერის ანტიპოდია. საკმარისია რაიმე არ მოეწონოს — ან სიტყვა, ან ნაიაჯი, ან უდრიოლ ღროს გავველიმოს, რომ ერთბაშად აუეტდება და ვაი იმას, ვისაც ხელში ჩაიგდებს, თვალებით ადგილზე გააქვავებს... პარადოქსულია, მაგრამ ამ მასწავლებელს, დირექციის წევრს, გაპევთილზე დისციპლინა და აკადემიური დონე არ უვარება, უყვარს ბავშვების გარეთ გამოგდება, მშობლების აწითება და ორიანგის წერა...

ჩაცმულობაზედაც ხშირად გვედავება. თმაზე წითელი „აბადოკის“ ტარება და შავი წინძება მიყვარდა. პირდაპირ თავი მოიკლა, არ დაუკერე, არც შშობლი მოვიყვანე. მერე მერი მასწავლებელმა მთხოვა და დავომე. არადა, მას თვითონ თმა ცხენის ფაფარივით აქვს შეკვირნილი, თანაც მაღალი, ზორბა ქალია. არ უშდება. ქართულის მასწავლებელსაც აქვს ფაფარი კეფაზე, „სვეტის“ ვეძანით, იმიტომ, რომ იპრანჭება, თუმცა ის გაცილებით ახალგაზრდაა.

დღილით სკოლის ეზოში რომ შევედი, ათის ოცი წერთი იყო უკვე, ასე უჩვენებდა ჩემი „სეიიკ“, იაპონური მარკისა, შარშან ნათლიამ რომ მაჩუქა დაბადების დღეზე. სინამდვილეში პირველ აპრილსა ვარ დაბადებული, მაგრამ ჩემი უსაყვარლესი, საფიცარი ადამიანის — იური გაგარინის გულისათვის მეტრიკა „დავკარგე“ და გამეორებითში 1961 წლის თორმეტი აპრილი ჩავაწერინეთ.

ეზოო ვთქვი, თორებ ესაა მუდამ აწალაზებული, ქვებითა და უანგიანი ჯარ-

თათ ბერებილი ნაკრძალი, სადაც სულო და გულო, რა სახის სულიერს არ შეს-
ვღებით, ბავშვის თვალით დანახულს მხოლოდ; ჩვენი „ზავხოზი“ სულ თავისით
უატ ფატოვიჩით დასდევს მსხვილფეხათა ღირსეულ წარმომადგენელს, ღღლეს
უკვ. ქალბატონ ძროხას; ძეათ საოცრებას – სიხარბისა და გაუმაძლობის სიბ-
ძოლოს, ღრუტუნას; მობაჯბაჯე იხვებსა და ბატებს, მოკრიმანჭულე ინდაურებს
და ა. შ.

პი, მეცხრე საოცრება – ეს მე ვარ, ხოლო მერვე, როგორც ეს აღიარებუ-
ლია, და ორგორც ეს ავსტრალიის მარადმწვანე კონტინენტზე უწოდეს პირველად,
ჩვენი დაძსახურებული ქირეოგრაფიული ანსამბლია.

ამ ღღლეს პირველი გაკვეთილი ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საჯვარელი სავანი –
ფიზიკა იყო. მასწავლებელიც უხვადაა დაჯილდობული იუმირის გრძნობით,
ბავშვები ხათრით კი არ ვიციონით, არამედ მთელი არსებით, ის რომ იხუმრებს,
თანაც ამ ღღლეს გაკვეთილად „სხეულის თავისუფალი ვარდნა და ვერტიკალურად
ასრილილი სხეულის მოძრაობა“ გვქონდა. ჰქანას ვარგავ პრაქტიკული ფიზიკი-
სათვას. ამ პარაგრაფის ინტერესს კი სწორედ ის მიღვივებდა, რომ სხეულთა ახეთ
მოძრაობას ჩემი ჯერ კიდევ სავშვობისდროინდელი სათავანო მეცნიერი გალილეი
გაღიალუ იკვლევდა. გალილეი კოპერნიკსა და ჯორდან ბრუნოსთან ერთად ხომ
შეა. საუკუნეების ჭეშმარიტი გმირია – აღამიანის აზროვნების წყვდიდილან გამო-
შვევანა... ცრუმდად დავიღვარე, როცა პირველად წავიკითხე, რომ ბრუნო სიმართ-
ლის თქმისათვის კოცონხე დაწვესო.

როგორც ყოველოვანი, ედიკასაც და ავთოსაც დაუგვიანიათ, ბუფეტის მოფა-
რებულ მხარეს ჩანთებზე დამსხდარან... უსიტყვილ გავულიმეთ ერთმანენტის. მმობი-
ლები თავაზიანად, უანგაროდ მეპერობან, სამაგიეროდ საშინაო დავალებას მე და
ნანა ვუწერთ, მაბარგალე და კარნახიც ჩემს მოვალეობას შეაღებს.

ცირკი ბიჭია ავთო მიქერია, მესამე კლასის შემძეგ წიგნი არ გადაუფურც-
ლავს, სკოლიდან თავისუფალ დროს ნიადაგ რკინიგზის საღვურშია, ყველის იცნობს;
იქ, აპარატურასაც ულობს და ლამიტის იმედიც აქვს ელიავას; სახელობის ტექ-
ნიკურში, თანაც ბილეთს სულ იოლად გიშოვით ყველა მიმართულებით. კლასიდან
კლასში, როგორც მასწავლებლები ხუმრობენ, „ზავხოზს“ გადაჰყავს, მისი ადიუ-
ტანტია, მანქანის შეკეთებაშიც ეხმარება; სამაგიეროდ სეირნობა გარანტირებული
აქვს შენობის ირგვლივ – ასე ივლის, ალბათ კიდევ ორი წელი. საშუალო სავალ-
ღებულო გახდა და რა ჰქენას.

დაბალი, ჩაისკვნილი, ქერათმიანი ბიჭია, მოციმციმე ნაცრისფერი თვალები და
პატარა ცხვირი აქვს, გული – ბაჯაღლო თქროსი, საკმარისია რაიმე ისურვო, თავს
არ დაზოგავს.

ვდიკა კი ავთოს სრული ანტიოლაა ვარდა ხასიათისა. ყველაზე მაღალია,
აწონილია, გამხდარი, მოგრძო სახეზე ოდნავ ჭორფლი ემჩინევა, პატარაობისას რაღაც
სახალი შევრია და ბეწვეზე გადარჩენილა, სიკმომიცინმა მომარჩინაო. იმპორტულია
პრექტარატების სახელები სულ ზეპირად იცის. რაც მთავარია, ყველაზე უჭირ
თა-
მაშინ ფეხბურთსა და პინგ-პონგს, კალათბურთი კი არ უშვარს რატომდაც (რა
დამაღლებს აფუჭებს!). ედიკას მამა დიდი კაცია, მაგრამ ამჟამად უფრო დიდ საქ-
მეზე აპირებს გადასხვას.

სხვისი პორტრეტების ხატვაში ჩემი თავი კინაღამ დამავიწყდა. აღბათ, გაი-
ნტერესებთ, როგორი ვარ მე. საკუთარი თავის ქება რომ არ გამომივიდეს, გაგაც-
ხისთ ერთი მეთეველასელი ბიჭის მიერ მოწერილ სამიჯნურო ბარათს ჯერ კიდევ
გასულ წელს, მერვეში რომ ვიყავი, იმდროინდელს. კონვერტზე ეწერა „მ. კვაჭაძეს,
საკუთარ ზელში“.

„ჰატივცემულო მარიანა, მართალია, ჯერ შენ პატარა გოგო ხარ, მაგრაც სოდებაც გავიზრდებით, ასაცი განსხვავება სულ მოისპობა. შეიძლება გაგეცინის ან მიძიბრაზე, ამ ბარათს რომ წაიკითხავ, მარამ გადაწყვიტე, საკუთარი თავის წინაშე არ ვითვალმაქცო და ჩემი მართალი გული შემოგთავაზო, ვიღე სულ არ მოგიტყვდები, კარგა ხანია თვალს გადევნებ, მგონი შემიყვარდი კიდეც შენი წკრიალა ხმის, დიდორინი, ბრიალა, შავი თვალ-წარბ-წმწამთა გამო, განსაგუროებით გამჭვენებს პატი ხალი მარჯვენა ლოფაზე და სიტრიფანა ცხვირი, მარწყვის ტუჩები, ცელქი კულულები, შენი საყოველთაღ ცნობილი შავი, სეტკა ჩულქებიც კი, ანუელა რომ სულ გრჩხუება ამისათვის. მგონი გადავაჭარბე, რისთვისაც ბოდიშს გახდა... პო, გემუდარები, წითელი აბადოკი სულ ატარე და ყოველთვის დაპლისული კაბა გვცვას. ისე, ცელი ბიჭი არც მე ვარ, მგონი. სამ დღეში პასუხს ველი, ამ წერილის მომტანს მიეცი. ნახვამდის ჩემი „მირე მატიე“ სოსო.“

ბარათის მომტანი მისი თანაკლასელი გოგო — ასეთ საქმეებში ცნობილი, მეტ-სახელად მაცაცო იყო. მასთან არც გამიხსნა კონვერტი, ცოტა გაუგირდა და გაპრუხდა.

ტექსტის ბოლოს მირზა გელოვანის ცნობილი ლექსი „თეთრი მიწა“ კწყვრა. ასე რომ მთავრდება:

„მომაგონდა შენს სახეზე პატაწინა ხალი

და თუ შენი ღიმილი მსურს, შენი გულიც მინდა“.

ბარათი იმდღესვე ედიგას ჩავაბარე, მისივე სიტყვებით მიჯნური სოსო-პიჭის თავზე ღრუბლები ჩამოწევა, მაგრამ საქმე მშვიდობიანად დამთავრდა, სოსო სხვა სეოლაში გადავიდა. როგორც ხედავთ, საიმედო მეგობრები მყავს, ხუმრიბა ხომ არაა, საბავშვი ბალიდან ერთად ვსწავლობთ, ახლა კი ჯერ მხოლოდ მცხრე ქლასელი გოგონა ვარ, სახელი მართლაც რომ ღვთიური მქეია — მარიამი, თუმცა მეტრიგაში მარო მიწერია. ან ფრანგი მწერლის კლემან მარის, ან უფრო, ბებია-ჩემის პატივისაცემად. ამხანაგები და მასწავლებლები მარინას მებახიან, რაც იტალიურად „მეზღვაურს“ ნიშნავს. ად წერილის შემდეგ, სხვა თუ არაფერი, სოსოს „მარიამ“ მომხიბლა. ამას გარდა უამრავი მეტსახელი და ფსევდონიმი გამაჩნია, რომელიც ჩემი საქციელის, ხასიათის, გუნება-განწყობილების კვალდაკვალ მეცვლება. მაგალითად, კაჭი, მარუკუნები, ვეზუვი, სტელლა, ჰიგმალიონი, ანნა კოსელი, რაფაელლა კარრა, ავჩარეა, ბლეფი, წითელქორა, კატილინა, ლედი მაგბეტი. დაღიაღა, იტალია, პომპა, საბმარიანი, ნიაგარა, სინიორინა, ჯაზი, მატა პარის და სხვა მრავალი.

ორსართულიანი საკუთარი სახლი გვაქას პარიზის კომუნის ქუჩაზე. მამა აგრიომია, დედა კი ექიმი-თერაპევტი, მყავს უფროსი დაიკო, თბილისში, მამიდასთან ცხოვრიობს: და სწავლობს, სახელიც მისგან ისესხა — რუსულანი. ასე რომ, ჯერჯერობით, ორნი ვართ. თუ არ ჩავთვლით პატარა ლეკეს, ჯუნას, რომელიც სულ ჩემი გახრდილია. ხშირად ვერთობით ჩემი ექსის კოპტია ყვავილნარში, რომლის სიამაგვ ხასხასა ტიტები და ჩაის უზარმაზარი ვარდებია. ამას გარდა გატაცებული ვარ პოეზიით, მუსიკით, სპორტით, მარტობით... აი, წარმოიდგინეთ კოველვე ეს და თქვენს თვალწინ ჩემი ორეული გაჩნდება — საშუალო სიმაღლის აფანდარა გოგონა. ვღვევარ სარკის წინ და ვფიქრობ, ჩემი თავი მართლა გაორებულად მინდა წარმოვიდგინო: ერთი მათგანი ჩვეულებრივი მარინა იქნება, მეორე კი — განშე გამდგარი კრიტიკოსი. არ ვაჭარბებ არც ამჯერად — დაახ, კრიტიკოსი. რაღაც საკუთარი თავის დახასიათება ჩემგან სიმართლეზე თვალის დახუჭვას როდი თანავს, თუნდაც ეს სიმართლე მწარე, არასასიამ-უნი იყოს. ამას მეუბნე-ხის სწორედ სარკის სიღრმიდან მომხირალი, დაფიქრეული თვალები, ჰირისახე-

ზე თმები ჩამოშლიათ, ოდნავი სერიოზულობაც მეტჩევა, რაც იშვიათი მოვლენა/ ჩემს პირად ცხელებაში; ოდნავ გაპიბილი წუჩები — რაღაცის სათქმელები/ ზადებული, ჯაუტად შეკრული წარბები... აი, როგორი ვარ მა ბოლოსდალისა? მაგრამ მთავარი მაინც სხვაა — როგორი ვარ მეგობრებთან, მასწავლებლებთან, პე-ლობლებთან, თუნდაც უცნობებთან ურთიერთობაში, წიგნის კითხების, მარტობის ან საიტერესო ტელეგადცების დღოს — ესე ივი მივხვდი, ახლა მივხვდი, მთა-ვარია ჩემი თვისებები, დედახემის შეგონებასი შახსენდება, ჯუტი ხარ, მარინა, ჯაუტად და რა გეშველება, არ ვიციო! — დაიცათ, კიდევ ვინ მითხვა ეს სატკუკები? — აო, ჩემმა ლია შახსავლებელდ, პიონერთა სახახლები რომ მუშაობს, აკაციუ-ფალი დორის კლუბის „სახატრიონის“ ხელმძღვანელშა და სულისჩამდგემლება; მომავალი სახსავლი წლისათვის არ ამცილდება ამ კლუბის პრეზიდენტობა. იქ ხომ ყველაფერს ჯანსაღის, საინტერესოს, შემოქმედებითის გაკეთების სამუალება და, რაც მთავარია, უფლება გვეძლევა; ყველა ოცნებასა და შისწავებას ესხმება ფრთხები; იმართება დისტაციები, დისკუსიები, პორზის საღამოები, კონკრეტულები, დავდივარ ექსკურსიებზე, არც დიდი სიღინჯე და პასუხისმგებლობა მოგვთხვე-ბა მაინცდამაინც... — მასხსოვე, მეტვიდე კლასში ერთმა მასწავლებელმა მკითხა, მარინა, ერთი ეს მითხარი, როდის უნდა დასერიოზულდეთ. მაშინ აღვუთქვა, როცა მერვეშ გადავალ, ჩემი სახით ჩვენს სკოლას ერთი სერიოზული გოგონა შეეძალე-ბა—მეთქი, მაგრამ, სახედნიეროდ, დაპირება დაპირებად დარჩა და ჩემი სერიოზუ-ლობა მეცხრე კლასისათვის გადაიდო. მართლაც და, სკოლაში, „ოქროს ხანა“ რატომ უნდა შეზღუდოს ხელოვნურმა, ნააღრევმა სიღინჯემ, მით უმეტეს, აუ ის შენს ბუნებას არ შეეცემორება? ეს პერიოდი ხომ აღარასოდეს გამეორდება და სწო-რედ მაშინ უნდა იყო განუმეორებელი.

ერთხელ გაკეთილზე მასწავლებელმა ამერიკა ახსენა, მე კი სწორედ ამ სიტყვაზე დინ რიდი გამახსხნდა, წინადღით ტელევიზორში იმდერა: ვდგები და მასწავლებელს ვეკითხები, ეს გადაცემა თუ ნახეთ-მეთქი. ბავშვებმა გაიცინეს, შახ-წავლებელი განრისხდა და მიბრძანა, გაკეთილი დამეტოვებინა... კლასიდან გავ-დივარ, თვალები ცრემლით მაქვს სავსე. რად ვერ გამიგეს ბავშვებმა, რატომ ვერ გამიგო მასწავლებელმა?! დინ რიდი ხომ მხოლოდ ესტრადის მომღერალია არაა, არამედ ამავე დროს, ის თავისუფალი ამერიკის მოტორფიალე, მშვიდობის მუსურვა-ლე მქადაგებელია ისევე, როგორც მოჰკმედ ალი, ჯერ ფონდა ან დემის რესტო. მისი სიმღერები მხოლოდ გართობის სამუალება კი არაა ჩემთვის, ამერიკის ცხო-ვრებასაც ვსწავლობ, თუმცა სიტყვები ყოველთვის გასაგები როდია, მაგრამ სიძ-ლერის შინაარსს თვით მუსიკა მაგებინებს. აი, რა მსურდა გაეგო ჩემს მასწავლე-ბელს, განა არ ღირდა ამისათვის როიოდე წუთის „დაკარგვა“? არადა, მას პირა-დად დიდ პატივს კვემდის; რა ცუდად გამომივიდა, ვიცი, დამნაშავე ვარ, აუმცა-ყოველივე ჩემდაუნებურად მოხდა. ვეცდები, დავითიწყო ეს უსიამოონი ინციდენტი.

თავისუფალ დროს მასტრულ ლიტერატურას ვკითხულობ, უულ ვერნა მთლიანად მაქვს წაკითხული, ისე, შერჩევით ვკითხულობ, ამგამად უურნალისტი ქალის ფრანცესაზე საგანის მოთხრობა „სალამი, სევდავ“ მიღევს საწერ მაგიდაზე. ჯერ-ჯერობით არაფერია, ერთი ქარაფშუტა გოგოსა და მისი დონეუანი მამიკოს სასივგარულო, მომაბეზრებელი ინტრიგებია. ვაითუ, ავტორს თავისი თავი ჰყავს გამოვეანილი, გული დაწყდება მაშინ.

ჩემი საყვარელი გმირებია: მორის ჯერალი, „უთავო მხედრიდან“ და ოთარ ნიურაბე, „ოვალი პატიოსანიდან“. მყავს დიდი კლასიკური სამეული: ღონ-ჟისტო, პამლეტი, ფაუსტი, დას, მეც მსურს, რომ ჩემმა გულმა „სულ იყმაწვილოს, იგაზა-ფხულოს“. მარადიული მოძრაობა, მოგზაურობა — აი, ჩემი დევიზი! ძირს კარვლ ჩაქეის რობოტი!!!

თანამედროვე, კარგ მსახიობებად ვთვლი ალენ დელონს, ქოტე მახარაძე კარლოს... მარენა ჯანაშიას, ან მანიანის, უან მარეს, გრეგორი პეტე... — ცეკვების შემოღვივების შემდეგ ჩაღილა მომწოდნის, მაგრამ რატომძაც მაღვე მიიღიწევს ეს ხალისიანი, რიტმული ცეკვა. კვირაში ერთხელ ვუსმენ „აპასიონატას“, „ვენის ზღაპარს“, მენდელსონის ცნობილ „საქორწიონ მარშს“, მოცარტის „თურქულ მარშს“, სიმფონიურ პოემას „ვლტავა“, მივყარს ჯორჯ გერშვინიც. თავამოღებული გულშემატევარი ვარ თბილისის „დინომოსი“, ჩემი სიმპათიებია: დაუნა ყიფიანი, ოლეგ ბლოხინი, ბეკენბაუერი, კრუიცი, მარალონა და ყველა კარგი სპორტისტი, განსაკუთრებით კი ხაზი მინდა გაუსვეა ირლანდიული ფეხბურთულის ჯორჯ ბესტის პოპულარობას. პირველი გატაცება კი მაინც შურცილავა იყო, მესხი და მეტრეველი არ მახსოვეს, ძან კი მწყდება გული. მევობრები ზემოთ ხომ გაგაცანთ, მაგრამ მათ შორის უპირველესი, ველაზე საიმედო მაინც მერხის თანამოზიარე ნანა ველაშვილია ღამაზი გოგოა, განსაკუთრებით კირინები და „პირლაპა“ უხდება, კარგად სწავლობს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ხასიათები დიდად განსხვავდება, მაგრამ საღდაც წამიკითხავს, ველაზე მტკიცე მევობრობა და ნანი სიყვარული განსხვავდებული ხასიათის ადამიანებს ძალუმთ.

ნანას მომღერლებიდან ელვის პრესლი და ჰისი მემკვიდრე, კლიფ რიჩარდი მოსწონს, ფრენკ სიხატრასა და დინ რიდსაც უსმენს; სპორტსტებიდათ — დერიუგინი, როლანდ გარუჩავა, ფილ ესპოზიტო, ბობი მური, ბობი ორრი, რობერტო ბეტევა... მე კარგი ბიჭებიც მოძრონს, ახლა ვარ სწორედ ჯულიეტას ასაკისა, უკართვეს, კარგად ცეკვავს, რატომ არ უნდა მოგწონდეს? აბა, გამოტყდით ჩემთ თანატოლო გოგოები! ამ გაგანია მეოცე საუკუნის მიწურულს, აღბათ, არ დამძრა-ხავთ ასეთი თაშამი აზრებისათვის.

21-ე საუკუნის მოახლოება კი თითქოს მაშინებს, რა მოელის თრიათასი წლიათვის ჩვენს მშენერ, თვალწარმტაც, ცისფერ პლანეტას? უწერია თუ არა დღეგრძელობა? მწამს, რომ მეორე ათასწლეულს თავისუფლად, ბედნიერად, მშვიდობიანად ცენტორუბს მოელი ექვსი მილიარდი კაცობრიობა. მაშინ შავნინის ქალი ვიქენები (თუ მანამდე რაიმე ახალი სიტყვა არ თქვეს გერონტოლოგებმა), ოჯანითა და შვილებით დახუნდლული, სერიოზული, დაკვირვებული, მზრუნველი დედა, ადამიანის მოყვარული, მარად იპტიმისტი...

გაევთილებზე ჯერ არ მომიწევნია. თუ კარგი, საინტერესო მასალაა შესასწავლი, გულისყურით ვუსმენ მასწავლებელს, თუ არა და ოცნებით ვარ გატაცებული, ან აზრიანი კამათით.

სიტყვა ოცნებაზე ჩამოვარდა. ხშირად, როცა რაიმეზე ვფიქრობ, მიჭირს საზღვრის დაღვენა და ფიქრები ოცნებაში გადადიან, იქნებ განეხორციელებელში, მაგრამ მაინც მომხიბვლელში, ღამაზ სანატრიონში. ხომ თქმულა, კარგი ვანეხორციელებელი ოცნება მუდამ სჯობსი ცუდ, ფრთაშესმულ ფიქრს, ველაზე მეტად შორს მაშინ მიმაფრენენ ფრთები — თეთრი, გამჭვირვალე, როცა ჩემს მომავალ პროფესიაზე ვფიქრობ. ის ჯერჯერობით საღდუმლოებითაა მოცული, ზოგჯერ საკუთარ თავსაც არ ვუმხედ, თუ მოვეწყვე, მერე ჰი!

ნინოს გარდა პატარა ჩანახატებს, მინიატურებსა და ლექსებს მეც უწერ, მაგრა ჯერ არავისოთვის გამიმხელია.

ნინო უკეთესებს წერს და სწორედ ეს მაბრკოლებს, მე მაკითხებს პირველად, აი, ერთი მათგანი, ძაან ძლიერია:

„წუთი მიაქანებს წლებს და ნიავქარებს,
და ვით მეაკვანე ახლის და ნათელის,
იმედს თვალგახელილს, შობს და მიაბარებს —
ღროსი იალქანებს მომავლის სახელით.

წუთი იმ ჩვიდმეტი წლის,
მეფე როს დასცეს ძირს,
გწამდეთ, საუკუნის ტოლი და ფარდია,
როს ძაღლა ვიგრძენით ილიჩის მჭექარე ხმის,
— არის ასეთი პარტია!

და კვლავ სასწაული დააქვს წუთი კარდაკან,
საუკუნის ტოლია, რაც ტყირთი ზიღა,
უკენს ციფერბლატებზე ცხოვრობენ მხარდამხარ —
წუთი და საუკუნე იმ ჩვიდმეტი წლილან“.

ამას წინათ თორმეტსტროფანი ახალი ლექსი „გაზაუქული“ მაჩვენა, რა რითმები, რა მუსიკა იყო, შაგრამ გეოგრაფიის ორანზე გაბრაზბულმა ედიკამ ხელში ჩაახია... მეორე დღეს კი გვიხადა ბოდიშები, მაგრამ ნინო მას შემდეგ აღარ სცეს ხმას. თუ მკითხველი ნებას მომცემს, შემიძლია აღვადგინო, ოღონდ, რა თქმა უნდა, პროზაულად. პატარა შესავალისაც გავაკეთებ და იქნებ ნაწილობრივი წარმოდგენა მაინც შეეგემნეთ, მით უმეტეს, რომ გაზაუქულს მეც თაყვანს ცცემ, ზაფხულს კი ვერ ვიტან, ფრიად საეჭვო გამოთქმას თუ გამოვყენებ.

გენიალური რუსი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკინვასი „წელიწადის დროის“ ხომ შოგისმენიათ? პრდა, არ მესმის, რა უნდა იყოს აქ საკმათო, განა გაზაუქულს წლის რომელიმე დრო შეეძრება? ეს ის პერიოდია, როდესაც სიცოცხლე სიამაგით იწყებს უფრესას, განა უსუსურ სიტყვას შეუძლია გადმოსცეს დანების მრავალპნოვანი ხები, ექ და მელოდია, სიცოცხლის ვირტუოზული პარმონა? — გორიზი მთები რომ ნაძვთა მწვანე ქოჩორს ივარცხნიან, ნაზამთრალ მიწას სურნელვანი ოშმივარი ასდის, მერცხლების ჭიქჭიგი არემარეს იყლებს, ანდა თოვლის უკანასკნელი ქულები რომ უჩინარდებიან და წყალი ლვართქაფად მოქმინება მოიდან ბარში. მუსიკა, მხოლოდ მუსიკა თუ შეძლებს გადმოსცეს ბუნების ძალთა ფერერვერკი და მიანიჭოს ადამიანს უკიდევანო, უნაპირო სიხარული, ასწავლოს, დაატყოს სილამაზისადმი წვდომის, მისი შეგრძნების უნარით. პირდაპირ სულში მეგვრება ჯადოსნური პანგები, არასოდეს შეწყდობილეს ნეტავ! სადაცაა ენძელაც ჰიტას დაიძახებს, ოქროსფერი დალალებით ერთს შეიხმიანებს და ცისფერბაფითი... ან იაც მეორე დღესვე დაუმშვენებს მხარს; ქარაფშუტა ქალივით ლამაზი დაიახო რომ ამოჩერჩეტდება საძლე უადგილო ადგილას... თითქოს უკვე მინდორში დაგრძივარ, გვიარილების მინდორში, გვავილებით ხელში... ნანა, გია, ლელა, ნინოც მომდევნენ, წინ ედიკა გადამეღობა, უსაშველოდ აწოწილა, ალვის ხესვით და გულუბრევილოდ იღიმება, გვავილები მომაყრა... მერე ვითომ მეათეკლასელი ელი (მისი სახელი რომ დმერის ხიშნავს ებრაულად) წარმოვიდგინე, შთაწმინდის პლატოზე ვართ ერთად და ლექსებს ვუკითხავთ ერთმანეთს, თან სულ უემოო და ზემოთ მივიკვდეთ გზას, ბილიკ-ბილიკ: სატელევიზიო ანძისაკნ, სადღაც წყარის რაგრაკთან ერთად ტოროლას ხმაც მოვწვდა... შევჩერდით, ყური მივუგდეთ სულგანაბუჯებმა, გვან მიწყდა „ტოროლას სიმღერა“... ნავში ვართ, ნიჩებს ავთო უსვამს, პირი დაუდია, ყურებამდე იცინის, ტალღები შიშით გავირბიან ნაპირისაკნ... ნან, რიტ-მულ პანგებად იღვრება „ტალღების ტლაშვინი“, ძალლების ყეფა მოისმის მეორე ნაპირიდან, „მონადირეთა ბუკის სიგნალმა“ დაფარა მათი ხმა... ცხენსე წარმოვიდგინე თავი, უბელო ცხენსე, მხარზე კი მიმინო მესვა თვალებბრიალა... რაკეტასა-

ვით ავარდა ანაზდად ჰექტო, მსხვერპლს ეძგერა და მირს დაანარცხა. ცოტმლი /
ამიყიავდა ჯუნამ რომ განგმირული გვრიტი მომირბენინა, მაღლობის მაკიფანა
საყვედურით შევხედე; გაოცებული გვერდით გადგა და მუნძულით გამოვევდა შეო-
ლოდ.

მდინარეს რომ მივუახლოედი, ვენეცია — ეს ქალაქი-მუზეუმი-ზღაპარი დამი-
დგა თვალწინ, გონდოლიერები, „ვალკარელა“, მოლივლივე ტალღები, თაღებიანი
ხილები და ჩემი კერპი — რაფაელლა კარა.

ნინოს თემას ოდნავ გადაუუხვევი, გავცილდი, მაგრამ გაზაფხულს არა. საად-
რეო მსხლისა და ტყემლის კვირტები რომ აფეთქდებან და მათრობელა სურნე-
ლით გაიჯდინთება კრიალ ჰერი, ბროწეული რომ გაიკვირტება სულ ტაცა-ტკუ-
ცით, მთელ სხეულში სასიამოვნო ურუნტებით მიღლის. ხომ გიყვართ მორცხვი,
მეოცნებე ქალწულივით ტუჩებგაბობილი ბროწეული? მე — ძლიერ, ძლიერ მიყვარს,
შანდორ პეტეფის პოპულარული ლექსი ამორივტივდა ცნობიერების ეკრანზე. ატ-
მისა და ვაშლის თეთრი-ყირმიზი ყვავილები კი აგირგვინებინ გაზაფხულის ქარგას,
საათობით რომ იშლებან, იზრდებან, ხუჭუჭდებან, ივებან, სერიოზულდებან
ბოლოს და პაწაწინა ნაყოფებად გარდაიქცევანა. აი რით განსხვავდება ტანწერწეტა,
კაფანდარა გაზაფხული მსუსყ, ხორცისევრი შემოღომისაგან. სოფლად კი მაინც
სულ სხვა გაზაფხული — უზარმაზარ შოქარგულ ფარდაგსა ჰკავს, ფერადი ზღა-
პარია!

გასულ წელს ასე არ ვაკირდებოდი, ახლა უფრო მოძრონს მოხატული ცა
და მიწა, თითქოს უფრო ვხელავ, ვკრძნობ და მესმის ბუნების მაჯისცემა, ნაზამთ-
რალმა მიწამ საკინძე რომ გაიხსნა და ათასერად გაიძალრა, ახმიანდა, აქლურტუ-
ლიდა, აჭიკვიკდა, აჩუხჩუხდა, ატკრციალდა..

ნინო რომ ჩემსავით თამამი გოვო იყოს... ჰმ, გამოვასწორო უნდა! თითქოს
ხალისიანი გოვო ვარ, ყველა თავს შევღება, მაგრამ დროლადრო, ამ ბოლო ხანებში
ისეთი მელანქოლია დამუფლება, ამხანაგები კი არა, თვით მე ველარ ვცნობ სა-
კუთარ თავს. ერთ ადგილს ვზიგარ თვალებგაშეშებული და ვფიქრობ რაღაცაზე თუ
ვაღაცაზე... მხოლოდ ელექტროზარის გაბმული ხმა მარკვევს, სწრაფად ვდგები,
დერევანში გავდივარ, კიბის საფეხურებზე ასკინკილით ჩავრბივარ, ვაი იმისი
ბრალი, ვინც პირველი შემხვდება და რაიმეს შემეგითხება!

ასეთ დღეში ხშირად ვარ. თავი ნისლში მონია, საიდუმლოებით რომ მოცუ-
ლი, შეს ირგვლივ ვერაფერს ხედავ, არც არსებობდა რაიმე მანამდე, თითქოს
ჯადოსნური ზღაპრის გმირი ხარ, მგონა სხვა ქვეყანაში მოხვდი, საღაც ჯერ კი-
დევ არ შეუდწევა სიცოცხლეს და ქაოსი სუფევს, საკუთარ თავს აღარ ეკუთვნია,
ხმელეთზე, მიწაზე დგომის შევრმნებაც კი დაგარგული გაქვს... ნისლი და ზღვა
ერთმეტორის გარძელებას წარმოადგენენ ხოლმე და მეც ამ ზღვის ფსკერზე
მივაბიჯვებ, როგორც აჩრდილი დიდი ხნის წინათ დამხრჩალი საკუთარი ორეული-
სა. ო, რა ტკბილი სიზმარია ყოველივე...

მია მუხრანის ლექსის ფრაგმენტი მახსენდება:

„ისეთი გაზაფხულია, ისეთი გაზაფხულია,
გინდ მერწმუნეთ და გინდა არა,
გამოვიცალე სრულია!“

ან კიდევ:

„ჰერი, აი საოცარი გამოგონება,
სუნთქვა ყოველგვარ აღმოჩენას აღემატება“. 19

ტოროლასავით ბედნიერი ვარ ამ დროს, უდარდელი, ლალი, თავისუფალი, მარადიული... ხანდახა შაიც, როც არ უნდა იყოს, გავივლებ გულში, რა იქნება— და ღმერთს ბიჭად რომ გავეჩინე, მაგრამ ახლა რაღა ედველება წამხდარ ხაჯების ფიქრისა და ოცნების ძაფი მაში გამიწყდა, ედიკად რომ კითხვა დამისვა.

— გუშინ იცი ვინ შემხვდა?

— ვიხ? — დავითტერესდი მე.

— შა-რიანა! — დამპრცვლა.

— თქ, რაო, მოკითხვა არ შემომითვალა?

ხალამიც ვერ გამიბედა.

— ისე, არ უნდა მეგრა ხელი, არ იყო ცუდი ბიჭი, — ფასიდად ვთქვი მე.

— ახლა ამბობ მაგას? — გაიცინა ედიკა, — ბიჭი კინაღამ ვცემე.

— რა დაშავა? სიყვარული ამისხანა. საოცარია, სიყვარულისათვის სჯიან ადამიანებს, სიძულვილისათვის კი არა... — წყნარად, თავის ქნევით დავაცხრე მისი აღშფუოთება.

— ეს ვინ ვოფილა, შევხვდები იმას მე ქიდევ და ვეტშვი, იცოდე, ყველაფერს!

— აწი აღარ გენდობა, — ჩაურთო ავთომ.

— ჰმ, ახლა აღარც ვევვარები, მაგრამ სხვა გოგოსთან რომ დაეინახო, რა მომივა არ ვიცი, რა მშენიერი სახელიც მაჩქა, ერთი კაი მოთხრობის გმირია, მე რომ საშინალდ დამწყვიტა გული... მაგრამ არა უშავს!

როგორც იქნა გაიღო კარი, ფიზიკის კაბინეტიდან ხმაურითა და სიმღერ-სიმღერით გამოვიდნენ ჩენი ბავშვები.

— დაგვაინგებულ მაყრებს გაუმარჯოს! — მოგვესალმა გაა, — პაზმელიაზე რას ინებებთ?

— ცივი ბორჯომი ან ნაბეღლავი, ქალბატონისათვის კი კოკ+ა-კოლა! — გა-უცინა ავთომ.

— შენი ხათოით ფიზიკა „არები“ არცერთს არ ჩაუწერა, — გვიღიმის სამი-ვეს, სიტყვები კი ჩემი პირადი საკუთრებაა.

— საღოლ! — ეს სიტყვა მაან უყვარს ედიკას, წამდაუწუმ იმეორებს.

შევე კარგ ხასიათზე ვიყავი, ნანა, ნინო და ლელა გარს შემომერტყნენ და გუ-შინდელ ღონისძიების გამო ხოტბა შემასხეს. დირექტორს კი ჩემთვის საჩუქრის გადმოცემა დავწყინიაო, ერთ დროს პოპულარული „მარინას“ დისკი, კლაუდიო ვა-ლლას შესრულებით.

დაფაზე დიდ-დიდი რიცხვებია ჩამწკრივებული:

$$40 + 60 + 60 + 40 + 50 = 250$$

კინის.

ვიღაცას დამახინჯებული ინგლისურით მიეჩანა: „Lewis Strauss“. გამეცი-ნა, ჩენებს კლასში ჯინსის შარვალი მარტო ედიკას ეცვა, ნამდვილი ჯინსი, ქუთაი-სის ნაწარმი კი არა. ბევრჯერ უთხრეს, მაგრამ იქით დაემუქრა, სულ აღარ მოვალ-სკოლაშით და მოეშვნენ კიდევ. შესვენებაზე ძალიან მიყვარს დაფასთან დღომა და ულამაზესი ქართული ასოების გამოყვანა. ამ დროს ათასგვარი ფიქრი, აზრი, გან-ცდა ჭიათურებივით ირევა ტვინში, ასოებისაგან სიტყვები იბადებიან, დაეწყობი-ან და ჯარისკაცებივით გამწკრივდებიან. ერთხელ სიხარუიც ვნახე, ფუნქულა „აი ია“ ცოცხალ არსებად, ყვავილებად ქცეულიყო, ძირი იაკობმა ერთ თარგულად რომ შეკრა ყველანი და... გამეღვიძა.

თოთოეულ ასოს თავს ვევლები, თუმცა ყველა ერთნაირად როდი მციგარს. ზოგი მიღიმის, ზოგი გაბუტულია, სულ მუდამ ზურგშექცევით დგას, აღვიღილიდან არ იძრის, ზოგი კი სულ ცეკვას, თამაშობს, ყველა სხვადასხვა ფერისაა. თოთო-ეული რაღაცას ნიშნავს ჩემთვის, სიბოლურია, ზოგს ვეფერები, ვსჯი, კუთხეში

ვაყვნებ, ვცვლი ქადეც, ან სულაც ამოვაგდებ საერთო რიტმიდან, დისონანის თუ უკავშირი აწყობილ ფერს უღიარებოთ. გასაკუთრებათ ხმოვნები ბიყვარს, „ა“ და „ი“ უკავშირი აწყობილ ფერს უგვიანეს, „უ“-სი მეშინია, მართალი რომ გითხრათ, „ე“-ს ფერთელი ფერი აქვს, უცეს დაგოხებს, „ო“-ს კი ექოს, ტექში სეფრნიბის სიმბოლოდ კოვლი.

არ ძიებარს „ო“, „ე“ და „ლ“.

ძალია მიყვარს სინახტება „ლ“, „მ“, „ნ“, „რ“.

„ლ“ სულ ღივლივებს, „რ“ — რაკრაკებს, „ნ“ — ნარნარებს, „მ“-ს კველაზე გაბეჭდულს უუწოდებ, ამ ვაცი კი რად, „ი“ ქარს მაგონებს, ლექსებს იაღებს, „უ“ — ჩიტუნებს უივშივასა და ულურტულს, ლაბაზი მხახიობი ქალის თვალებსაც, „ხ“ — ოდნავ ძაკათობს, „შ“ — ტექში ფილობების შრიალს ჰგავს, აქოჩილი ხეებისა, ფალეზე შემდგარი ტალღების ხმაურს.

შერე, სულ უუწტკიცებ ჩემს თავს, ორმ „წ“ და „შ“ მეგობრები არიან, ვახტანგურად ჩახუტებული და ღიღინებენ. „ძ“-სა და „ხ“-ს კი ზურგი შეუქცევია ერთიძრორისათვის, არ სცემენ პატივს. „ბ“ ტებილად შესციცინებს თავის ტურფა წინამძღვლს და ფამიერამ წელვაბართულ გადაავლებს ხოლმე თვალს მთელ მხვდრიონს, „ზ“-ც დაიზუზუნებს, აქეთ ფერდაფერი რიგზეათ, მაგრამ მოწევნილი სახე-ფერც მრავლად ჩანან, აგერ „პ“, თითქოს კარგი, ოროთახიანი ბინა აქვსო, ვერ ისკვენებს მაინც, განცხადებას განცხადებაზე წერს, „პ“-ს რითი მიანიჭეს უპირატესობა, რად შოუმატეს ღოჯიათ. „გ“-სა და „ნ“-ს სასაყვედური არაფერი აქვთ, თუმცა ორთავეს ერთი მიზეზის გამო წყვიდათ გული, აღდგოლებს რომ შეგვიცვლიდნენ, უფრო კარგი იქნება, ერთმანეთის ცქერით უფრო ვიჯერებთო გულს. „რ“ აშეარად კედეკიფილია ბედითა და ადგილით ცხოვრებაში, თითქოს „ს“-საც არაუკარ უნდა ჰქონდეს სამღურავი, მაგრამ ბოროტი ენები ამბობენ, ზოგჯერ „რ“-ს ჩაუსისინებს, ჩემს წინ რად უნდა იღე, რა დამსახურებისათვისი, „ქ“ რაც შეიძლება მაღლა-მაღლა მიიწევს, ბამბუკივით იზრდება, ხანაც ქუდს ახურავენ, როგორ არ რთავენ, მაგრამ ქვემოდან მაინც ვერ ამოძვრა მთლიანად, არადა პირველ სართულზე ფორნა არავის ეხატება გულზე, ისე როგორც „ჯ“ და „ჭ“ ცხოვრობენ. დანარჩენი თანხმოვნებიც გულდამბიმებული შერიგებიან თავიანთ ბედს.

მასწავლებლის ხმა მომენტში, შემოსულა უკვე ასოებს ვეთხოვები, ჩვრით ვშლი და ჩემს მერხზე, ნანაჩიას ვვერდით ვჯდები...



შეგოლგომაზე დაფინილი ლექსები

①

სევდისაგან გაყვითლებულ ფოთლებს
მიაცილებს შემოდგომის ქარი...
მამა! ზეცის გუმბათები სკლება
თუ ჭრიალით იხურება კარი.

— ქვითინით ნუ გაბრუნდები უკან,
მეგობარი მაფრთხილებს და მკოცნის,
წინ ტკივილით გასავლელი გზაა,
უკან ცრემლით განწმენდილი ბორცვი.
ცალ, ხედავ? ბოლო თხოვნა დამრჩა,
მეც ოდესმე დაგიბრუნებ ამაგს,
ოღონდ წუთით გამინათლე სული,
ოღონდ სიზმრად მომივლინე მამა.

ემილი დიკინსონს

ზეცისაგან ნაბოჭები ნეტარება
მიწიერი სისასტიკით დევნილია,
ჩემს ოთახშიც შემოფრინდა, გულწითელა
ემილია, საყვარელო ემილია.
გულწითელა, მშიერი და გასაკითხი,
უღვთო წსხევრპლი უსამართლო ანათემის...
...შემოდგომის ფოთლებივით ფართატებდნენ.
მსოფლიოსთვის დასაგზავნი ბარათები.
ლოცვანს ჰევვდა წმინდა სულის აღსარება,
ჩურჩულით და ცრემლმიერად წასაკითხავს,
ლერწამივით ირწეოდა ბედისწერა,
ტყვედქმნილი და განბაძილი გასაკიცხად.
კიდევ კარგი! შეუცნობელ ნეტარებას
გული არ გვთხოვს, თუკი სული გვეჩილია;
